გიორგი გოცირიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი

გიორგი ჩიტაიას მეცნიერული აღზრდის მეთოდები (სემინარები)

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ჩემი მასწავლებელი და მოძღვარი იყო. დღეს, როცა ქართულ ეთნოლოგიას უჭირს, თვალწინ მისი დაღლილი სახე წარმომიდგება, მთელი ცხოვრება რომ შეალია ამ დარგის შექმნას და განვითარებას. ჩემმა კოლეგებმა და განსაკუთრებით უფროსმა თაობამ კარგად უწყის თუ რა დიდი პატივია ითვლებოდე ამ გენიალური მეცნიერის მოწაფედ, ყოფილიყავი მისი ასპირანტი, დისერტანტი და შემდეგ წლების მანძილზე თანამშრომელი.

პირველ რიგში მინდა გავიხსენო მისი დამოკიდებულება დამწყებ ეთნოგრაფებთან, ასპირანტებთან, მაძიებლებთან, ახალგაზრდა კოლეგებთან. ის იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც შეეძლო ერთი შეხვედრისთანავე მოეხიბლე თავისი უშუალობით, სისადავით, უკიდეგანო ერუდიციითა და თავაზიანობით.

საბაზო განათლებით ეთნოგრაფი არ ვიყავი, ამიტომაც ვთვლი რომ ჩემი ამ დარგში მოსვლა ბედისწერის შედეგი იყო მხოლოდ. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი – ირანისტიკის განხრით, და იმის გამო რომ ჩემს სპეციალობაში ასპირანტურაში მიღება არ გამოცხადდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახისვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ეთნოგრაფიის სპეციალობაზე გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება, სადაც ასპირანტურაში ერთი ადგილი იყო გამოყოფილი, იმ მიზნით, რომ აღმოსავლურ ეთნოგრაფიაში ვიმუშავებდი. რჩევისათვის ბატონ გიორგისთან უნდა მივსულიყავი. რეკომენდაცია ქალბატონმა რუსუდან გოგოლაშვილმა და ჯულიეტა რუხაძემ გამიწია, რეფერატი კი, რომელიც მაშინ აუცილებელი იყო ასპირანტურაში ჩასაბარებლად

პროფ. მიხეილ გეგეშიძესა და ცნობილ ირანისტ ოთარ გვილავასთან მიღებული კონსულტაციების შედეგად დავწერე. თემა ირანში მცხოვრები ბახთიარების ყოფასა და კულტურას ეხებოდა და ჩემს არჩევანს შეესაბამებოდა.

ბატონმა გიორგიმ ყურადღებით მომისმინა, ნახა ჩემი ავტორეფერატი, და გადაწყვეტილება მომიწონა. მას შემდეგ კი, რაც გამოცდები ჩავაბარე და ასპირანტი გავხდი, სამეცნიერო ხელმძღვანელობაც თავად იტვირთა. მცირე ხნის შემდეგ თავისთან დამიბარა ბინაზე, სემინარების მოსასმენად. მაშინ მისი ოჯახი ოპერის უკან, ბორის ძნელაზის ქუჩაზე ცხოვრობდა, ძველ სახლში, კედლები რომ ჰქონდა დაბზარული. მე გამაოცა იმ სისადავემ და უბრალოებამ რაც იქ დამხვდა, ვერ წარმოვიდგინე რომ აკადემიკოსები ასე ჩვეულებრივად, მოკრძალებულად ცხოვრობდნენ.

სემინარი საღამოს 8 საათზე იწყებოდა, მანამდე კი როგორც გაგონილი მქონდა, ბატონი გიორგი ორი საათით ისვენებდა. ასეთი იყო მისი სამუშაო რეჟიმი. საუბრები წინა ოთახში – კაბინეტში იმართებოდა, უამრავი წიგნების გარემოცვაში. აქ მოვისმინე მისი პირველი ლექცია ეთნოგრაფიის შესავალში (რომელიც მანმადე არ მქონდა მოსმენილი), მივიღე რჩევა-დარიგებანი და სემინარის მომზადების კონკრეტული მითითებები. მოგვიანებით აქვე შეირჩა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემაც („ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში"), რომელიც მაშინ ირანიდან ჩვენი თანამემამულეების რეპატრიაციის გამო ძალზე აქტუალური გახლდათ. მე როგორც აღმოსავლეთმცოდნეს – ირანისტს, ეს გარემოება განსაკუთრებულ მოვალეობას მაკისრებდა. სწორედ ამან განაპირობა ისიც, რომ ბატონი გიორგის მოთხოვნით, საკანდიდატო მინიმუმისთვის დამატებით სავალდებული მეოთხე საგანი – სპარსული ენა უნდა ჩამებარებინა, ასეც მოვიქეცი.

მე აქ აღარაფერს ვიტყვი გიორგი ჩიტაიას, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობის სტილსა და მეთოდზე, რადგან ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ძალიან ბევრს კარგად მოეხსენება, მაგრამ ვიტყვი მხოლოდ, იმას რომ ის ამ მხრივაც გამორჩეული ადამიანი იყო. არასოდეს ერეოდა ღრმად ასპირანტის სამუშაო პროცესში, ტექსტის შედგენაში, არ ასწორებდა დაწერილს და სხვ. ისმენდა და კითხულობდა მხოლოდ ზოგიერთ გარკვეულ ნაწილებს და იძლეოდა ერთ-ორ ისეთ შენიშვნას, რომელსაც შეეძლო საფუძვლიანად შეეცვალა შენი წინასწარი „ზრახვები", ამასთან იგი იმთავითვე მოითხოვდა გეგმას, კონკრეტულად გაწერილს და ჩამოყალიბებულს, მისი სავარაუდო დასკვნებით. არ უყვარდა საქებარი სიტყვების თქმა და თუ ამას აკეთებდა ისიც რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევაში.

დავუბრუნდები სემინარებს. მოგეხსენებათ რომ ყველა მეცნიერს სემინარული მუშაობის თავისი საკუთარი მეთოდი გააჩნია. გიორგი ჩიტაიას სემინარები არ იყო ჩვეულებრივი, სალექციო კურსისა თუ პროგრამის (ახლა რომ სილაბუსს უწოდებენ) მიხედვით გამართული მსჯელობის ასპარეზი, არამედ ეს იყო ზოგადთეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები – გაკვეთილები, რომელსაც ცნობილმა ეთნოგრაფმა ანდრო ლეკიაშვილმა მეცნიერული აღზრდის სკოლა უწოდა. ეს სკოლა თითქმის ყველა მისმა მოწაფემ გაიარა. სემინარების ძირითადი მიზანი ეთნოლოგიის პრობლემებში ღრმად გარკვევა იყო, რომელთა მიზანიც დარგის სპეციფიკის, არსისა და დანიშნულების, მისი თავისებურებების ახსნა გახლდათ, უმარტივესი ცნებებიდან რთულ სისტემამდე, თითოეული მოვლენის განვითარების ისტორიული დინამიკის გათვალისწინებით. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი პროცესი, ლაბორატორიული მუშაობა, როცა ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია კი არ ხდებოდა, არამედ მისი შინაგანი ბუნების ანალიზი, ეთნოგრაფიული რეალიის ახსნა ადამიანის ფაქტორის წარმოჩენით, იმ ძირითადი მიმართულებების გამოვლენით, რომლებიც მოცემულ ეთნოსოციალურ სივრცეში თუ ეკოლოგიურ გარემოში, სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურის თვითმყოფადობას განსაზღვრავდა. ასეთი იყო საერთოდ გიორგი ჩიტაიას ეთნოგრაფიული კვლევის პრინციპები, მეთოდი, რომელიც შემდეგ, მისი მოწაფეების მიერ იქნა გაგრძელებული. ეს ის დროა, როცა ამერიკული სკოლის მიერ ევროპაში მიღებული სახელწოდების – ეთნოლოგიის ნაცვლად სამეცნიერო მიმოქცევაში ანთროპოლოგია შემოდის. ევროპაში და საერთოდ უცხოეთში დამკვიდრებული სკოლების და მიმართულებების შესახებ კი ჩვენი მასწავლებელი, ჯერ კიდევ ადრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს, თავის ცნობილ სალექციო კურსში „სვეტებში“ წერდა. მაშინ ეს ნაშრომი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. გავიდა წლები, მეცნიერება განვითარდა, ეთნოგრაფიას ეთნოლოგია ჩაენაცვლა, ანთროპოლოგია კი კვლავ ამერიკელ მეცნიერთა პრეროგატივად დარჩა. თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

პოლემიკის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ თავად ბატონი გიორგი გახლდათ ყოველი სიახლის მომხრე, მან პირველმა შემოიტანა ჩვენში ცნება ეთნოლოგია (დარგის სახელწოდებად), მაგრამ შემდეგ საბჭოთა კავსირში მიღებული ტრადიციის გამო ეთნოგრაფია არჩია. ეთნოგრაფიასა და ეთნოლოგიას შორის განსაკუთრებული პრინციპული განსხვავება არ არსებობს; ვფიქრობთ ან-

თროპოლოგიაც ეთნოლოგიას უნდა ემყარებოდეს, რადგან ადამიანის ფაქტორი („ანთროპოს") „ეთნოსის" ანუ ხალხის გარეშე წარმოუდგენელია. გიორგი ჩიტაიას სკოლა უდიდეს მემკვიდრეობას ფლობს და ეს მემკვიდრეობა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობაა დარგისა რომელმაც დიდი ისტორიული გზა განვლო და რომელიც ხალხურ ყოფასა და კულტურას ისეთი სიღრმით სწავლობს, რასაც თანამედროვე ეთნოსოციოლოგები ვერ წვდებიან. აქედან გამომდინარე საქართველოსთვის უპრიანი ეთნოლოგიაა და ის ასეთი სახელწოდებით უნდა დარჩეს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ სემინარს ბატონი გიორგი ეთნოგრაფიის შესავლით და ისტორიით იწყებდა და მისი მეცნიერული და პრაგმატული მნიშვნელობის შესახებ საუბრობდა. პირველი წიგნი, რომელიც ჩვენ უნდა წაგვეკითხა, იულიუს ლიპსის „საგანთა ბუნებისათვის" იყო. არაერთგზის მსმენია რომ ზოგიერთი მკვლევარი ამ ნაშრომს სერიოზულ მეცნიერულ ნაშრომად არ თვლიდა და უფრო მეტიც, საყმაწვილო ლიტერატურად მიაჩნდა. დრომ კი ნამდვილად გვიჩვენა რომ ეს ასე არაა. ლიპსი ანთროპოლოგი იყო და თავის დაკვირვებებს საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე მყოფი ადამიანების, სხვადასხვა ტომების ემპირიული გამოცდილების მიხედვით ახდენდა.

ლიპსის წიგნში პრაქტიკული ცოდნის თითქმის ყველა სფეროა ნაჩვენები: ადამიანი და ბუნება, გარე სამყაროს შეცნობა, დასახლებისა და განსახლების ფორმები, მეურნეობის ხასიათი, იარაღები, სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროები. დამწყები ეთნოგრაფისათვის ყოველივე ამის დროსა და სივრცეში გააზრებაა საჭირო, იგი საჭიროა ზოგადი კანონზომიერებების დასადგენად, სპონტანური და დიფუზიური მოვლენების, მათი გავრცელების არეების და კერების გამოსავლინებლად.

ლიპსი არ იყო ერთადერთი სასემინარო წიგნი; დროდადრო ბატონი გიორგი სხვა ლიტერატურასაც გვისახელებდა. თვალს ადევნებდა იმას თუ რა გვქონდა წაკითხული და რა უნდა წაგვეკითხა. ერთგვარად ამოწმებდა ჩვენს ინტელექტს. განსაკუთრებით მოითხოვდა ახალი ლიტერატურის ცოდნას. სიახლე კი მას არასდროს გამორჩენია. პირიქით, იგი სისტემატურად იღებდა წიგნებს, ჟურნალებს, ბიულეტენებს და პირველ ინფორმაციას თავად გვაწვდიდა. ჟურნალებიდან განსაკუთრებით უყვარდა „Akta Ethografica", „В мире науки", „Вокруг света" და „Советская этнография", რომელსაც ახლა „Этнографическое обозрение" ჰქვია და ჩვენს ეროვნულ საჯარო ბიბლიოთეკაშიც კი აღარ შემოდის. რაც შეეხება ეთნოგრაფიის ისტორი-

ას, მსოფლიოში მოქმედ ეთნოლოგიურ სკოლებს, ამას ჩვენ მისი ცნობილი „სვეტები"-დან ვეცნობოდით, რომელიც მაშინ ხელნაწერის ან ფოტო ასლების სახით ვრცელდებოდა. ვფირქობ მისი გამოცემა დღესაც სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის.

სემინარების დროს ჩვენი მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მხოლოდ ამა თუ იმ წიგნის, კრებულის, მონოგრაფიის, არამედ ცალკეული სამეცნიერო სტატიის შინაარსზე საუბარს, ამ მიმართებით საკუთარი აზრის გამოთქმას და დამოკიდებულებას. ხშირად მართავდა დიალოგს: გვისვამდა კითხვებს, რომელზეც პასუხი უნდა გაგვეცა. იყო შემთხვევები, როცა ამის გამო არა ერთი ჩვენგანს „თავსატეხი" გაგვჩენია და უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვართ, მაგრამ რთული სიტუაციიდან ისევ მას გამოვუყვანივართ, მოკლედ და ლაკონურად გვიხსნიდა იმას, რაც ასე რთულად გვეჩვენებოდა. ზოგჯერ „მტკივნეულ" შენიშვნასაც გვაძლევდა, მაგრამ ის უნდა მიგეღო და ღირსეულად აგეტანა.

სემინარული მუშაობის ერთ-ერთ საკვანძო მომენტს ტექსტის შინაარსისა და კომენტარის გარდა, ლექსიკაზე, ტერმინებზე, გარკვეულ ცნებებზე და განმარტებებზე საუბარი შეადგენდა. დიდი ყურადღება ეთმობოდა სამეცნიერო აპარატის (სქოლიოს რომ ვუწოდებთ) და დამოწმებული ლიტერატურის სწორად გამოყენების წესს, წერის სტილსა და ორთოგრაფიას. თუ ახალგაზრდა მკვლევარი ამას თავიდან არ დაეუფლებოდა, მერე ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომაც ეს მოთხოვნა პრინციპული და აუცილებელი იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუ მე დღეს, რაღაცნაირად ვახერხებ და შედარებით სწორად ანუ მართებულად ვწერ, ეს ბატონი გიორგის დამსახურებაა. შეცდომებს ის ასე ადვილად არ გაპატიებდა, მაგრამ ამას საოცარი ტაქტით აკეთებდა.

კიდევ ერთი. სემინარზე ბატონი გიორგი ზოგჯერ ისეთი დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებასაც მოითხოვდა, რომელიც შემდეგ სტატიისათვის ან მოხსენებისათვის იყო საჭირო. დიდი პატივი იყო კონფერენციაზე, სესიაზე და მეტადრე გაფართოებული მნიშვნელობის ფორუმებზე მოხსენების წაკითხვა. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული და ამ მხრივ განებივრებულები არ ვიყავით, თანდათან ვეჩვეოდით.

ბატონი გიორგი ახალგაზრდა კადრებისაგან მოითხოვდა საერთო განათლების დონის ამაღლებას, ენების ცოდნას, ერუდიციის გაფართოებას და მუდმივ ძიებას, საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი თვალის დევნებას. არა ერთხელ უთქვამს და ურჩევია, რომ თეატრშიც უნდა გვევლო და კინოშიც, დავსწრებოდით

ღირსშესანიშნავ ღონისძიებებს, როგორც მეცნიერულს ისე სხვას და რაც ყველაზე მთავარია, დროს არ უნდა ჩამოვრჩენილიყავით. უყვარდა ასეთი გამოთქმა „კვერცხის ნაჭუჭში ნუ ჩაიკეტებითო". ყურადღებას აქცევდა თითოეული ჩვენგანის ზნეობრივ მხარეს, პირად ცხოვრებასაც, მაგრამ არასოდეს არ დაურღვევია ურთიერთობისას ეტიკეტი და ეთიკური ზღვარი, რაც ესოდენ აუცილებელი იყო მასწავლებელსა და მოწაფეს შორის. იყო თემები, რომელზედაც ის არასდროს არ ლაპარაკობდა.

სემინარებზე ხშირად საუბრობდა საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის შესახებ. საველე პრაქტიკას ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ეს იყო ერთგვარი აუცილებელი „გამოცდა", რომელიც ყველა ჩვენგანს უნდა გაევლო. ბატონი გიორგი დეტალურად გვეკითხებოდა იმას თუ სად ვიყავით, რომელ ექსპედიციაში მივიღეთ მონაწილეობა, რა ვნახეთ, როგორი მასალა შევკრიბეთ, შევადგინეთ თუ არა კითხვარები და სხვ. გვირჩევდა რომ მასალა საველე დღიურებში სრულად შეგვეტანა, ჩაგვეწერა, იგი ყურადღებით, გაგვეკეთებინა გრაფიკული ჩანახატებიც, დაგვერთო ფოტო ილუსტრაციები და სხვა. თუ შესაძლებლობა მოგვეცემოდა მოგვეპოვებინა „სამუზეუმო ნივთებიც" და გადაგვეცა ის ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისათვის. გამოგვეყენებინა ამავე მუზეუმებში დაცული ჩანაწერები, საფონდო მასალები.

ჩვენთვის ცნობილი იყო გიორგი ჩიტაიას საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტელექტური მეთოდი და პრინციპები, რომელიც მეთოდურ ლიტერატურაში დღემდე ერთ-ერთ აღიარებულ მეთოდს წარმოადგენს და რომელსაც ვერცერთი თანამედროვე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ვიცოდით ისიც, რომ თავად გიორგი ჩიტაია ვერა ბარდაველიძესთან ერთად იყო დიდი, ლეგენდარული ექსპედიციების ავტორი და ხელმძღვანელი, სადაც თანამშრომლებთან ერთად ასპირანტები და სტუდენტებიც კი მიჰყავდა. ამ ექსპედიციების ანგარიშების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია, იქ მოპოვებული მასალები კი ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებს უდევს საფუძვლად და თავისთავად უნიკალურია.

ბატონი გიორგის რჩევით საველე მასალის ჩანაწერის დროს მთხრობელის მიერ ნათქვამ ყველა წვრილმანისათვის უნდა მიგვექცია ყურადღება. მახსოვს ერთხელ ასეთი რამ მითხრა: ყველა ფაქტი დაწვრილებით უნდა აღწერო, ეს კულტურის ყველა ელემენტისთვისაა საჭირო. ავიღოთ მაგალითად ნიახური, ქონდარი ან ქინძი, როგორც მცენარე, დაუკვირდი მათ აგებულებას, კვებაში გამოყენებულია როგორც ძირი, ღერო, ისე ფოთოლი და ნაყოფი – თესლი. მოიხ-

მარება ნედლად, უმად, გადამუშავებული სახით, სანელებლად, მზადი ფორმით და სხვ. ხალხმა კარგად იცის მისი თვისებები, გემო, სუნი, სამკურნალო დანიშნულება. არჩევენ ამ მცენარეთა ველურ და ბაღის – კულტურულ სახეობებს, რასაც ქართული კვების კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ეპიზოდი შემთხვევით არ გავიხსენე. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ გიორგი ჩიტაიას სემინარებზე მე გავაცნობიერე კიდევ ერთი ჭეშმარიტება – ეთნოგრაფისათვის თეორიები და მეცნიერული ინტერპრეტაციები კი არის მთავარი (როგორც ამას ხშირად ეთნოსოციოლოგიაში ან ანთროპოლოგიაში აქვს ადგილი), არამედ ის ემპირიული მასალა, რომელსაც უშუალოდ ხალხში კრებ და რომელსაც ემყარები, როგორც პირველწყაროს.

ბატონი გიორგი ხაზგასმით გვირჩევდა, რომ ესა თუ ის საკითხი, პრობლემა კულტურულ-ისტორიულ ჭრილში განგვეხილა, დროში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, გადმონაშთების, რუდიმენტების, კონსტანტების ცნებათა შესატყვისად და ზოგადკავკასიურ თუ საერთოდ ზოგადკულტურულ ღირებულებათა ფორმატში, საკუთრივ ქართულის – ეროვნულის როლი და ადგილი წარმოგვეჩინა. ეს ხომ მეცნიერული კვლევის ძირითადი ამოცანაა. ამიტომაა რომ გიორგი ჩიტაიას ყველა ნაშრომი დროს უძლებს, ის ჭეშმარიტების ძიების სრული დასტურია. სამართლიანად თვლიან მისი ბიოგრაფები, რომ ამ ბუმბერაზი მკვლევრის ნებისმიერი სტატია, თუნდაც მცირე მოცულობისა, ახალი სიტყვაა და არეალური კვლევის სამაგალითო ნიმუში, მონოგრაფიის დონეზე შესრულებული, თანადროული. ავიღოთ თუნდაც მისი „ჭვინტიანი ფეხსაცმელი", „ქართული თონე", „რაჭული სახვნელი" და სხვ.

საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ ფაქტს. როცა მე ბატონი გიორგის სემინარებს ვისმენდი, 1975-1979 წლები იყო. მაშინ XX საუკუნის მიწირულს, მის ნაშრომებს ცალკე კრებულებში ვკითხულობდი. დღეს კი, საბედნიეროდ, „ხუთტომეული" გამოცემულია, რაშიაც დიდი წვლილი მის მოწაფეებს ქ-ნ თამილა ცაგარეიშვილს და მხატვარ ზურაბ წერეთელს მიუძღვის. შექმნილია გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ფონდი; ყოველივე ეს საეტაპო მნიშვნელობის მოვლენებია. ასევე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია, დაბადებიდან 120 წლისთავზე მის მიერვე დაარსებული, ღია ცისქვეშ მუზეუმში მემორიალური კაბინეტის გახსნა. ამით ქართველი ერი და ქართული მეცნიერება კიდევ ერთ პატივს მიაგებს დიდი მეცნიერის ხსოვნას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. ჩიტაია, სვეტები, ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი, შრომები, IV, თბილისი, 2001, გვ. 1253.
2. პ. ყიფიანი, ეთნოლოგიის პრობლემები, თბილისი, 1995; ლ. მელიქიშვილი, ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბილისი, 2000; იხ. აგრეთვე კრებული „ანთროპოლოგია მომავლის მეცნიერება", რედაქტორი ქ. ხუციშვილი, თსუ, თბილისი, 2008.
3. გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია (1917-1926), მიმომხილველი, 1926, ტ. I, გვ. 247-261. მისივე რუსეთის ეთნოლოგია და ეთნოგრაფიული მუშაობის პრაქტიკა სსრკ მუზეუმებში, შრომები, ტ. III, 2001, გვ. 33-44.
4. Липс Ю., Происхождение вещей, Москва, 1954.
5. ჯ. რუხაძე, შტრიხები აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პორტრეტისათვის, თბილისი, 1993, გვ. 21.
6. გ. ჩიტაია, საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდი, შრომები, IV, 2001, გვ. 78-86.
7. გ. გეგეშიძე, გიორგი ჩიტაია, თბილისი, 1980; თ. ცაგარეიშვილი, გიორგი ჩიტაია, 100, თბილისი, 1993; ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი, საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, თბილისი, 2009, გვ. 438.
8. გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბილისი, I, 1997; ტ. II, 2000; ტ. III, 2001; ტ. IV, 2001; ტ. V, 2001.

Giorgi Gotsiridze

Doctor of Historical Sciences, associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of Histori and Ethnology senior research scientist of the Department of Georgian Ethnology

Giorgi Chitaia's Methods of Scientific Upbringing (Seminars)

Summary

The article is of the autobiographical character. It is dedicated to the founder of the Georgian Ethnological School, the outstanding scientist and public figure of the 20th century, academician Giorgi Chitaia; to the recalling of his methods of teaching, supervising and evaluating it from the modern

perspective. The seminars carried on by the supervisor are widely discussed in the article as the laboratory process. The author underscores those main principles and demands the teacher had towards young scientist, postgraduate students and applicants of the scientific degree, who were just starting their scientific career.

The author of the article is focused on different aspects of the process of perception, the theoretical and practical meanings of the discussed problems, personal features, character of the teacher, his attitude towards saving national folk heritage and his contribution in the system of the common cultural values.